

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

*ხელნაწერის უფლებით*

გვანცა საბაშვილი

მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ  
პროზასა და პუბლიცისტიკაში

დისერტაცია/სპეციალობა-ფილოლოგია/ლიტერატურათმცოდნეობა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ასოცირებული პროფესორი: გურამ ბახტაძე

ასოცირებული პროფესორი: ინგა შამილიშვილი

ბათუმი

2017

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

**გურამ ბახტაძე** - ასოცირებული პროფესორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;

**ინგა შამილიშვილი** - ასოცირებული პროფესორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;

**რეცენზენტები:** **შორენა მახაჭაძე** - პროფესორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;

**მალხაზ ჩოხარაძე** - პროფესორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;

**ვახტანგ ინაური** - ასოცირებული პროფესორი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 12 ივლისს, 15 საათზე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის ქუჩა N 35, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, აუდიტორია N 37

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა -----

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლოგიის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი:

ნანა ცეცხლაძე

## **სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება**

ჩვენი თეორიული კვლევის საგანს წარმოადგენს მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველოს შესწავლა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში.

მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველოს შესწავლა ერთობ რთული და ამავდროს საინტერესოა. ამიტომაცაა, რომ ამ მნიშვნელოვანი თემის კვლევით დღემდე არაერთი მეცნიერი დაინტერესებულა.

ჩვენ შეძლებისდაგვარად მოვიძიეთ არაერთი საინტერესო სამეცნიერო მასალა და მათი ანალიზის საფუძველზე ჩამოვაცალიბეთ ჩვენი ხედვა და დასკვნები.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტურ-მხატვრული პროზისა და პუბლიცისტიკის სიღრმისეულმა შესწავლამ საფუძველი მოგვცა გამოგვეკვთა შემდეგი საკითხები:

- მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
- საბრძოლო ასპარეზად ქცეული ისტორიული აჭარა.
- განსხვავებული რელიგიური შეხედულებების ურთიერთგადაკვეთა.
- ადგილობრივ მკვიდრთა ტრადიციები და ყოფა-ცხოვრება.
- ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მათი როლი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში.

**საკვლევი თემის აქტუალობა:** კვლევის საგანს წარმოადგენს მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველოს პრობლემების ასახვა ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში. აღნიშნული თემის ირგვლივ ჩვენ მიერ ჩატარებული დეტალური მიმოხილვა ნათელს ჰფენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ გაწეულ ღვაწლს სამშობლოს წინაშე.

სამეცნიერო ნაშრომი საყურადღებოა თავისი მრავალფეროვნებით და კონკრეტულობით. დისერტაციის ძირითადი ნაწილი ეთმობა თემის იდეურ გააზრებასა და ანალიზს.

აქტუალური გახლდათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თანამედროვე საზოგადო მოღვაწეების, პუბლიცისტების, ეთნოგრაფებისა და მკვლევრების შეხედულებები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო ნაშრომი ნათელს ჰფენს არამარტო მე-19 საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევსა და შეხედულებებს, არამედ ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი პიროვნებების შეხედულებებსაც, რაც მეტად საგულისხმოა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**ნაშრომის ძირითადი მიზანი** გახლავთ იმ ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევის შესწავლა და შეფასება, რომლებიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ და თავად მონაწილეობდნენ იმ რთულ პროცესებში.

ჩვენი მიზანი იყო „სამუსლიმანო საქართველოს“ მრავალფეროვანი კუთხით შეცნობა, რის საშუალებასაც მოძიებული მასალები გვაძლევდნენ. ყურადსაღებია იმ დროს გამომავალი პერიოდული გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესწავლა, რადგან გაგვეთავისებინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე პროცესების მტკინვეული შედეგები.

**ნაშრომის კვლევის ობიექტი და მეთოდები:** სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ დოკუმენტური პროზა, მონოგრაფიული ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემები, კერძოდ „დროება“ და „ივერია“. თეორიული ნაშრომების შესწავლამ საფუძველი მოგვცა გამოგვეტანა ძირითადი დასკვნები.

სწორედ ამის საფუძველზე შევძელით სადისერტაციო ნაშრომში გამოგვეყო საკვლევი თემის თავისებურებები და განგვეხორციელებინა მისი იდეური ანალიზი.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე** - მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით ჩვენთვის როგორც ცნობილს, აგრეთვე ნაკლებად ცნობილ მოღვაწეებს, რომელთაც შეძლეს და სრულყოფილად წარმოგვიდგინეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული პრობლემები.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი წინ გადადგმული ნაბიჯია, მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველოს უკეთ შესწავლაში. ვფიქრობთ, გარკვეულწილად გზამკვლევი იქნება აღნიშნული თემით დაინტერესებულ პირთათვის.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერულად ნაბეჭდი 130 გვერდისგან. შეიცავს შესავალს, 3 თავს, ქვეთავებს და ზოგად დასკვნას. დისერტაციას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და ინტერნეტმასალის ელექტრონული ბმულის ჩამონათვალი.

### **სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

შესავალში საუბარია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნის, მეცნიერული სიახლისა და კვლევის აქტუალობის შესახებ. განხილულია ნაშრომის თეორიული ღირებულება. დასახელებულია თემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები.

შესავალში გამოკვეთილად წარმოვადგინეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქვეყნის პოლიტკური მდგომარეობა, რომელმაც შემდგომში განაპირობა მუჰაჯირობის ხელახალი პროცესების დაწყება. შესავალში საუბარია 60-იანელთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე სამშობლისადმი. ვეცნობით მათი ბრძოლის ხერხებს, რომელიც შეძლებისდაგვარად გამოიყენეს ქვეყნის მტრების მიმართ. თერგდალეულთა თაოსნობითა და ძალისხმევით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა პერიოდული გამოცემები, რომელიც გახლდათ მატთანე აღნიშნული ეპოქისა.

სადისერტაციო ნაშრომში შევხებით ცალკეულ მკვლევართა ნაშრომებს და ყურადღება გავამახვილეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, რელიგიურ, ისტორიულ ღირებულებებზე.

**თავი I** - სამუსლიმანო საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დოკუმენტურ - მხატვრულ პროზაში - შედგება 5 ქვეთავისაგან. 1. 1. გიორგი ყაზბეგი; 1.2. ზაქარია ჭიჭინაძე; 1.3. თედო სახოკია; 1.4. დიმიტრი ბაქრაძე; 1.5. საინგილოს თემა;

პირველი ქვეთავი - განიხილავს გიორგი ყაზბეგის მოგზაურობას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელმაც დოკუმენტური პროზის სახით შემოგვინახა. „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ ასე უწოდა წიგნს გიორგი ყაზბეგმა, რომელშიც ნათლად არის წარმოდგენილი იმ დროს არსებული პოლიტიკურ-სოციალური ვითარება ქვეყნისა.

გიორგი ყაზბეგის მოგზაურობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თითოეული სოფლის ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ეკონომიკური მდგომარეობისა და რელიგიური შეხედულებების ერთ საინტერესო ნარკვევად ჩამოყალიბდა. სწორედ ამ ნაამბობის გაანალიზებამ მოგვცა საფუძველი შეგვექმნა ერთიანი ისტორიულ-კულტურული სურათი.

მეორე ქვეთავი განიხილავს ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლს. ქვეთავში განხილული გვაქვს მუჰაჯირობის პროცესი. აღნიშნულ პროცესს ზაქარია ჭიჭინაძე დიდი გულისტკივილით მიუდგა. ამავე თავში საუბარია ზაქარია ჭიჭინაძის შემართებაზე ქართული ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, ვინაიდან გააზრებული ჰქონდა ქართული ენის როლი ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში.

აღსანიშნავია ზაქარია ჭიჭინაძის ტოლერანტული დამოკიდებულება რელიგიის მიმართ. ეს საკითხი სადისერტაციო ნაშრომის აღნიშნულ თავში დაწვრილებით გვაქვს წარმოდგენილი. აქვე შევეცადეთ გავცნობოდით ზაქარია ჭიჭინაძის

მოგზაურობის დეტალებს და მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვეცა მკვლევარის შეხედულებები, მიზნები, შედეგები.

ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ აჭარაში. ამავე თემის მესამე ქვეთავი გვესაუბრება თედო სახოკიას მოგზაურობაზე და ამ მის შედეგებზე. თედო სახოკიას იმ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, როდესაც მტრების მიერ მიტაცებული მიწები დედა-სამშობლოს უბრუნდებოდა. შესაბამისად მკვლევარს დეტალურად აღუწერია იმ პერიოდის ვითარება. განსაკუთრებით გამოკვეთილია აჭარის როლი მის შემოქმედებაში.

თედო სახოკიამ საკუთარ მონოგრაფიაში „მოგზაურობანი“ იმოგზაურა აჭარის სხვადასხვა სოფელში. მკვლევარი შეეხება სოფლებში არსებული ვითარებას, სწავლა-განათლების საკითხებს, განიხილავს, ერთი მხრივ რუსეთისა და მეორე მხრივ ოსმალელების დამოკიდებულებას აჭარის მიმართ. აშკარაა რუსეთის მიმართ მკვლევარის კეთილგანწყობილება.

აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის ერთ-ერთი ქვეთავი შეეხება დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც გახლდათ ეთნოგრაფი, ისტორიკოსი. აღნიშნულ ქვეთავში გამოვყავით დიმიტრი ბაქრაძის განსაკუთრებული წვლილი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და სულისკვეთების შენარჩუნებაში.

ჩვენ ნაშრომში განსაკუთრებულად გამოვყავით დიმიტრი ბაქრაძის როლი ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიმართ. რაც გამოიხატა შემდეგში - მკვლევარი ცდილობდა თავის თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებს გულთან ახლოს მიეტანათ ქვეყნის გასაჭირი. ის შეეცადა ქვეყნის ისტორიის აღწერით ქართული საზოგადოება დაეინტერესებინა აჭარის რეგიონით.

ამავე თავში გამოვყავით საინგილოს თემა. თავდაპირველად შევეხეთ მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, მის ცალკეულ კუთხეებს. აღნიშნულ ქვეთავში

განვიხილეთ ლეკთა თარეში, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საინგილოში მეტად გავრცელებული ყოფილა.

ვისაუბრეთ ისეთ მოღვაწეებზე, როგორებიც არიან თ.პაპუაშვილი, ზ.ედილი. მათი საველე კვლევებიდან დეტალურად შევისწავლეთ საინგილოში არსებული ვითარება, ადგილობრივთა ურთიერთობა, დამოკიდებულება, ოჯახური ტრადიციები და ა.შ.

აღნიშნულ თავში გამოვყავით ჩვენთვის საინტერესო მინიშნებები, რომელიც გარკვეულწილად ხაზს უსვამს საინგილოში არსებულ რთულ ვითარებას.

ზ.ედილიმ თავად საინგილოს მოსახელობა დაყო ორ ნაწილად - კეკელ და ელისელ ინგილოებად. მათი ურთიერთდამოკიდებულება და განმასხვავებელი მახასიათებლები კვლევის შედეგად წარმოდგენილი გვაქვს აღნიშნულ ქვეთავში.

**თავი II - მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში.**

თავად აღნიშნული თავის სათაური მიუთითებს მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველოს ყველაზე მტკივნეულ პროცესზე ჩვენი მოსახლეობისა.

სანამ უშუალოდ მუჰაჯირობის პროცესს შევხებით, მანამ მიმოვიხილეთ ის გამომწვევი მიზეზები და ისტორიული ფაქტები, რამაც მუჰაჯირობის პროცესი გამოიწვია.

წინამდებარე თავში გამოვყავით რეგიონები, სადაც მუჰაჯირობის პროცესი მძლავრად მიმდინარეობდა. ეს რეგიონები გახლდათ: ტაო, კლარჯეთი, არტაანი, აჭარა, ეობულეთი, რომლებიც თითქმის სრულად დაცარიელებულა.

აღნიშნულ ქვეთავში დავახასიათეთ იმ ქართველ მუჰაჯირთა ღვაწლი, რომლებმაც შეძლეს და შეინარჩუნეს ქართული ენა, ადათ-წესები, რომელიც განმსაზღვრელი იყო მათი ეროვნული იდენტობისა.

ამავე თავში საუბარი გვაქვს ერთი მხრივ ოსმალოების და მეორე მხრივ რუსების მუდმივ ბრძოლაზე რათა ისტორიული აჭარის ადგილობრივი მოსახელობის კეთილგანწყობა დაემსახურებინათ, რის ფონზეც გაიმყარებდნენ საკუთარ ძალებს ამ რეგიონში. ამავე თავში ხაზგასმული გვაქვს პერიოდიკის როლი და მიზანი



აღნიშნული პრობლემის მიმართ. აღნიშნული ეპოქის პერიოდულ გამოცემებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მუჰაჯირთა ცხოვრებას.

პუბლიცისტთა გარკვეული ნაწილი წერდა, რომ მუჰაჯირები კმაყოფილები იყვნენ გადასახლების შედეგად მიღებული შედეგისა, ნაწილი კი აფიქსირებდა, რომ გადასახლებულები პირიქით ნანობდნენ და სურდათ უკან სამშობლოში დაბრუნება.

წინამდებარე ქვეთავში გასურდა დაინტერესებულ პირთათვის გვეჩვენებინა ის განსაკუთრებული დამოკიდებულება და მცდელობა ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებისათვის, რასაც მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოება ცდილობდა პერიოდული ორგანოს ფურცლების მეშვეობით.

მე-19 საუკუნის მოვლენები პირუთვნელად აისახა და გაანალიზდა ქრთული პრესის ფურცლებზე. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი სრული სიზუსტით აანალიზებდნენ აჭარის რეგიონში არსებულ ვითარებას და გაზეთის მეშვეობით ცდილობდნენ მოსახლეობაში გაეღვივებინათ პატრიოტული გრძნობები. ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული შეხედულებების, ნააზრევის გაცნობა და გაანალიზება. ჩვენ შევეცადეთ მთავარზე გაგვემახვილებინა ყურადღება და ამით ის მნიშვნელოვანი საკითხები წამოგვეჩია, რასაც განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა იმ ეპოქის ცხოვრებაში და რაც გახლდათ წინაპირობა პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებების ფორმირებისა. ამავე თავში შევეცადეთ პუბლიცისტური წერილების გაცნობით გარკვეული შეფასების საშუალება გვექონოდა აღნიშნული ეპოქისა და პროცესისა.

**თავი III** - განხილული გავქვს სამუსლიმანო საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში. წინამდებარე თავის დასაწყისში აღნიშნული და დახასიათებული გვაქვს პუბლიცისტიკა, როგორც ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მიმართულება, რომელშიც უტყუარად აისახებოდა ეპოქის პრობლემები. XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ქართული პერიოდიკის ფურცლებზე საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად იბეჭდებოდა საინტერესო წერილები და გამოკვლევები. ამდენად საინტერესოა გასულ საუკუნეში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიცისტთა იმ მემკვიდრეობის

გაცნობა და გაანალიზება. საუბარი გვაქვს იმ პუბლიცისტურ წერილებზე, რომელიც დეტალურად გვაქვს განხილული წინამდებარე ნაშრომში.

მე-19 საუკუნის ცხოვრებისეული სურათის სრულყოფილად წარმოჩენისათვის, აუცილებელია შევისწავლეთ ის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ პროდუქცია, რომლებშიც უტყუარად აირეკლა იმ საკითხთა აქტუალურობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოცემულ ისტორიულ ეპოქაში.

აღნიშნული ეპოქის მკვლევრების, პუბლიცისტების და სხვათა ფიქრი და გონება მიმართული იყო სამუსლიმანო საქართველოზე, რომელთაც შექმნეს და დაგვიტოვეს უტყუარი ანარეკლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სინამდვილისა. სწორედ, ამის საფუძველზე ჩავთვალეთ საჭიროდ პუბლიცისტური წერილები მოგვეძიებინა და ერთად მოგვეყარა თავი, რადგან დაინტერესებულ პირებს ერთ სივრცეში შეძლებოდათ აღნიშნული პროცესების გაცნობა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოძვარილი ჟურნალ-გაზეთები ხელს უწყობდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას საზოგადოებაში.

ეს გახლდათ ის გარდამავალი ეპოქა, როდესაც აზროვნების ახლებური ტიპი დამკვიდრდა, ჩნდებოდა განსხვავებული იდეები, მიზნები. აქედან გამომდინარე საინტერესოდ მივიჩნიეთ წინამდებარე თავში ყურადღება გაგვემახვილებინა ეროვნულ-განმანათავისუფლებელ შტაბად ქცეულ გაზეთ „დროებასა“ და გაზეთ „ივერიაზე“.

აღნიშნული მესამე თავი შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან - 3.1 გაზეთი „დროება“; 3.2 გაზეთი „ივერია“; 3.3. დავით წერეთლის პუბლიცისტიკა; 3.4. საინგილო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პუბლიცისტიკაში; 3.5. საინგილო გაზეთ „დროებაში“; 3.6. საინგილო გაზეთ „ივერიაში“.

პირველი ქვეთავი გაზეთი „დროება“ გახლდათ, რომელშიც განვიხილეთ აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენები. სხვადასხვა პუბლიცისტთა ნააზრევზე დაყრდნობით განვიხილეთ ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის თავისებურებები. მართლაც

საინტერესოდ გვესახება პერიოდული ორგანოს როლი და დანიშნულება აღნიშნული პრობლემების გასაცნობად.

ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობის ფლაგმანად ქცეულ გაზეთ „დროებას“ მრავალი მკითხველი ჰყავდა, გამომდინარე იქიდან, რომ გაზეთში უტყუარად აირეკლებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის სინამდვილე. გაზეთის ფურცლებზე ჩვენ ვეცნობოდით, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილ პუბლიცისტთა ნააზრევს, აგრეთვე ადგილობრივთა შეხედულებებსაც, რომელიც კიდევ უფრო ნათლად გვიხატავდა აღნიშნულ სინამდვილეს.

წინამდებარე თავში ჩვენ მიერ მოტანილი პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე უამრავი გულისწუხილი აღიბეჭდა, როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან, აგრეთვე იმ ხალხის მხრიდანაც, რომლებიც ცდილობდნენ სიტყვის ძალით შებრძოლებოდნენ მტერს, თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა ეჩვენებინათ. აღნიშნულ თავში მოძიებული პუბლიცისტური წერილების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის და ბედის უკუღმართობით დედასამშობლოს მოწყვეტილი ხალხის ერთიან ქართულ სივრცეში დაბრუნების საქმეში.

აგრეთვე ჩვენი ინტერესის სფეროს მოიცავს მესამე თავის მეორე ქვეთავი - გაზეთი „ივერია“.

გაზეთ „დროების“ მსგავსად გაზეთი „ივერიაც“ შეუპოვრობითა და მიზანმიმართულებით გამოირჩეოდა აღნიშნული ეპოქის მიმართ. აღნიშნულ ქვეთავში აქტიურად განხილული გვაქვს ილია ჭავჭავაძის და მისი თანაგუნდელების მოსაზრებები, შეხედულებები, მიზნები.

„ივერია“ თემატურად მრავალფეროვანი ეროვნული გამოცემა იყო, რომელიც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის უტყუარ მატთანედ უნდა ჩაითვალოს. „ივერია“ იყო ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ეროვნული თვითშეგნებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეების გამტარებელი ორგანო, რომლის

ფურცლებზე სრულად აისახა იმ დროის მთავარი სატკივარი - თანამომხმეების გამაჰმადიანება და მათ გადასახლება, მუჰაჰჯირობა.

აღნიშნულ პრობლემას დაკავშირებით თავად ილია ჭავჭავაძემაც არაერთი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. ილიასა და სხვათა პუბლიცისტური წერილები ნათლად გვაქვს წარმოდგენილი აღნიშნული თემის მეორე ქვეთავში.

მესამე ქვეთავი შეეხება - დავით წერეთლის პუბლიცისტიკას. როგორც უკვე აღვნიშნეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სურათის სრულყოფილად აღსადგენად საჭიროა, როგორც გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების შემოქმედების გაცნობა, აგრეთვე ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი პიროვნებების ნააზრევის შესწავლა. ერთ-ერთი ასე პიროვნება კი გახლდათ დავით წერეთელი, რომლის პუბლიცისტიკა ჩვენთვის საინტერესო კვლევის საგანია, რადგანაც თავად დავითი გახლდათ უშუალო მონაწილე იმ მოვლენებისა, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა აჭარაში. დავით წერეთელმა არაერთი პუბლიცისტური წერილი შემოგვინახა, რომელშიც მისი თანამედროვე პოლიტიკური, სოციალური პროცესები ნათლად წარმოგვიდგინა.

დავით წერეთელი ეკუთვნის იმ სახელოვანი მამულიშვილების რიცხვს, რომლებიც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პროფესიულ თუ სამსახურეობრივ საქმიანობასთან ათანხმებდნენ სამწერლო-ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საქვეყნო საქმეში. პუბლიცისტური წერილების საშუალებით პუბლიცისტი ნათლად გვიხატავდა მე-19 საუკუნეში მაჰახელას ხეობაში არსებულ ვითარებას. სწორედ, ამიტომ საჭიროდ და მნიშვნელოვან ჩავთვალეთ გავცნობოდი დავით წერეთლის ნაკლებად ცნობილ პუბლიცისტურ სიმდიდრეს.

მესამე თავში ცალკეულ ქვეთავებად გამოვყავით საინგილო გაზეთ „დროებაში და გაზეთ „ივერიაში“. საინტერესო პუბლიცისტური წერილები მოვიძიეთ და შევეცადეთ სრულყოფილად წარმოგვედგინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საინგილოს ყოფა.

საინტერესოდ მივიჩნიეთ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიგვენიჭებინა იმ პუბლიკაციებისათვის, რომელიც ინგილოებისა და ქიზიყელების არცთუ სახარბიელო ურთიერთდამოკიდებულებას აღწერდა.

აგრეთვე საინგილოშიც არ კარგავდა აქტუალობას მოლა-ხოჯების აგიტაციური პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნულ ქვეთავში რამდენიმე პუბლიცისტური წერილს გავცნობოდით.

გაზეთმა „დროებამ“ უამრავი გვერდი და ადგილი დაუთმო საინგილოს შესახებ ცნობებს, რომლებიც ერთი-მეორეზე საინტერესო ფაქტებით იყო გაჯერებული. მთავარი კი ის გახლდათ, რომ თავად პუბლიცისტები უშუალო მონაწილენი იყვნენ საინგილოში მიმდინარე პროცესებისა და ამბებს თვითმხილველის პოზიციიდან გადმოგვცემდნენ, ეს კი უფრო ამაფრებდა მკითხველის შეგრძნებებს და განაცდევინებდა მტკივნეულ პროცესებს.

აგრეთვე საინტერესოდ მივიჩნიეთ წამოგვეწია გაზეთ „ივერიაში“ ასახული საინგილოს პრობლემატიკა, რაც ცალკე ქვეთავად გვაქვს გამოტანილი.

გაზეთ „ივერია“ გახლდათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა ქართველი ხალხის ინფორმირება, ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორც იყო აჭარა და საინგილო. მივიჩნიეთ და საჭიროდ ჩავთვალეთ სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფისათვის წინა პლანზე გამოგვეტანა ის პუბლიცისტური წერილები, რომელიც მე-19 საუკუნეში საინგილოში არსებულ პრობლემებს ნათლად დაგვიხატავდა.

მეტნაკლებად შევარჩიეთ პუბლიცისტურ წერილები, რომლებიც ქვეყნისა და სოციალური ფენისათვის ძალზე საინტერესო გახლდათ. აღნიშნულ ქვეთავში მიმოვიხილეთ გამაჰმადიანებული ქართველების ბედი, საინგილოში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები. ვეცნობით ინგილო ქალის, დედის ზოგად დახასიათებას, მის როლს ინგილო ოჯახში.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ ნათლად წარმოგვეჩინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სამუსლიმანო საქართველო. ცალკეულ დოკუმენტებზე და პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით შევეცადეთ ზოგადი დასკვნები წარმოგვედგინა ჩვენ მიერ შესრულებული კვლევის საფუძველზე.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი გახლდათ პერიოდი, რომლის სიმძაფრე და სიცხადე ნათლად გაითავისეს მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეებმა.

ანალიზისას მკაფიოდ გამოჩნდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებული პოლიტიკურ-სოციალური პრობლემები. ცალკე პრობლემად გვევლინება განსხვავებული რელიგიური შეხედულებები, რელიგიური აღმსარებლების ურთიერთდამოკიდებულება. აგრეთვე მკაფიოდ გამოჩნდა მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეების დაულალავი შრომა, რათა დახმარებოდნენ თანამემამულეებს კვლავ გამოღვიძებაში სამშობლოს სიყვარულის შეგრძნებაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტურ-მხატვრული და პერიოდული გამოცემების შესწავლამ გამოკვეთა ტენდენციები, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომში ნათლად წარმოგიდგენთ.

ნაშრომზე მუშაობის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გადმოგვეცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ამ კუთხეებში მიმდინარე პროცესთა ისტორიული ანალიზი.

სადისერტაციო თემის საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ თითოეულმა მკვლევარმა, პუბლიცისტმა, ეთნოგრაფმა, ისტორიკოსმა საკუთარ ნაშრომში მკაფიოდ და ნათლად დაგვიხატა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ვითარება. ხოლო ის ფაქტი, რომ ისინი თავად გახლდნენ ამ პროცესების უშუალო მონაწილენი და თვითმხილველნი, დამაჯერებლობასა და სიმძაფრეს მატებს თითოეულ ნაშრომს.

### **ზოგადი დასკვნები:**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტურ-მხატვრული პროზისა და პუბლიცისტური წერილების შესწავლამ გამოკვეთა საინტერესო ტენდენციები, კერძოდ ის, რომ ეს ჟანრები ხელს უწყობდა საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესს და მიმართული იყო ხალხის ინფორმირებულობისაკენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თემების შესახებ, მათ შორის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და საინგილოს მკვიდრთა პოლიტიკურ-რელიგიური მისწრაფებების შესახებ. ხელი შეუწყო ქართული საზოგადოების ინფორმირებას ამ რეგიონებში არსებული ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში შევისწავლეთ და განვიხილეთ ქართველი საზოგადო მოღვაწეების, მკვლევრებისა და პუბლიციტების მიერ აჭარისა და სინგილოს შესახებ შექმნილი ნარკვევები, მონოგრაფიები და პუბლიცისტური წერილები.

ნაშრომზე მუშაობის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გადმოგვეცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ამ კუთხეებში მიმდინარე პროცესთა ისტორიული ანალიზი, რომელიც მართალია ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა, მაგრამ გვაძლევდა საკითხის შესწავლისა და მართებული დასკვნების გამოტანის საშუალებას. საკითხის შესწავლისას დავრწმუნდით, რომ ბევრმა ფაქტმა თუ მოვლენამ დღეს სხვა აქცენტები შეიძინა, ბევრი მათგანი დავიწყებას მიეცა და ამდენად ჩვენი ნაშრომის აქტუალობას სწორედ ამ საკითხების წამოწევა და მათზე მსჯელობა წარმოადგენდა.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემები, ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების მიერ შექმნილი დოკუმენტურ მხატვრული პროზა.

ამ პერიოდის დოკუმენტურ-მხატვრულ პროზაზე საუბრისას ყურადღება შევაჩერეთ ისეთი ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევზე, როგორებიც იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, თედო სახოკია, გიროგი ყაზბეგი, თენგიზ პაპუაშვილი და სხვ. ისინი

ძირითადად საუბრობდნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს შესახებ, როდესაც აქტიურ ფაზაში შედიოდა ერთი მხრივ აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და საინგილოს გამაჰმადიანების, მეორე მხრივ კი რუსეთის მიერ აღნიშნული ტერიტორიების დაპყრობა-დამორჩილების საკითხი.

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ თითოეული ავტორი საკუთარ ნაშრომში მკაფიოდ და ნათლად გვიხატავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებას. ხოლო ის ფაქტი, რომ ისინი თავად გახლდნენ ამ პროცესების უშუალო მონაწილენი და თვითმხილველნი, დამაჯერებლობასა და სიმძაფრეს მატებს თითოეულ პუბლიკაციას.

საკვლევი თემიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ თითოეული ავტორი ერთგვარი აგიტატორის როლსაც ასრულებდა თანამემამულეებთან, რათა თავიანთი კალმითა და მოწოდებით შეენარჩუნებინათ ქართული სული, ენა, კულტურა, თითქმის მივიწყებული ტრადიციები. ისინი ამასთანავე დიდი გულისტკივილით გვესაუბრობდნენ ყველა იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ, რომელიც ხელს უწყობდა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების დაქვეითებას. მაგალითისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებული სიმძაფრით ზაქარია ჭიჭინაძემ აღგვიწერა მუჰაჯირობა, როგორც ეროვნულობის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე მტკივნეული პროცესი, თუმცა ამ საკითხისთვის გვერდი არც თედო სახოკიასა და დიმიტრი ბაქრაძეს აუვლია, რომლებმაც ამის პარალელურად აჭარაში მიმდინარე არაერთ მტკივნეულ საკითხზეც გაამახვილეს ყურადღება.

აღნიშნული დოკუმენტურ-მხატვრული პროზის კვლევისას გარდა მშრალი დოკუმენტური ფაქტებისა შევეხეთ ემოციური და პირადი განცდების მატარებელი არაერთი ფაქტისა და მოვლენის ასახვას, რითაც დავასკვნით, რომ თავად ავტორებზე მტკივნეულად მოქმედებს პოლიტიკური და სოციალური ვითარება, რაც ემოციური დატვირთვით აისახა კიდევ მათ ნაშრომებში. მათი მთავარი საზრუნავი არა მხოლოდ არსებული ფაქტებისა და მოვლენების ასახვა გახლდათ, არამედ უმთავრესი ამ



რეგიონებში ადგილობრივ მცხოვრებთა მორალური და ფსიქოლოგიური დახმარება, მათთვის მტკივნეული საკითხების გადაჭრაში თანადგომა იყო.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოწვლილვით შევისწავლეთ და განვიხილეთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული გამოცემები. განსაკუთრებული ყურადღება კი „დროებასა“ და „ივერიაზე“ გავაკეთეთ, ვინაიდან ამ პერიოდულმა გამოცემებმა შეიძლება ითქვას მწვავე ბრძოლა გააჩაღეს მუჰაჯირობისა და სხვა მტკივნეული პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგ და ფართო პროპაგანდა გააჩაღეს წერა-კითხვის გავრცელებისა და ზოგადად ქართული წიგნის პოპულარიზაციისათვის. ისინი სამართლიანად გვევლინებოდნენ იმ დროს არსებული ჟურნალ-გაზეთების წინამძღოლებად და შეგვიძლია დანამდვილებით აღვნიშნოთ, რომ ამ გამოცემებმა სითამამე და სიმტკიცე შესძინეს ნიჰილიზმით მოცულ ქართველ ერს.

„დროებისა“ და „ივერიის“ რომლებითაც „ ბედისაგან მივიწყებული მოძმეები“ იბრუნებდნენ დაკარგულ რწმენას და იმედიანად შეჰყურებდნენ საკუთარ მომავალს ერთიანი ქართული სხეულის შემადგენლობაში. პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი მნიშვნელოვანი პუბლიკაციები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ჟურნალისტურ ჟანრს (კორესპოდენცია, ნარკვევი, რეპორტაჟი, წერილი, მიმოხილვა, რეცენზია, ინტერვიუ), გვიდასტურებს იმ პერიოდის ქართული პერიოდიკის ჟანრობრივ და თემატურ მრავალფეროვნებას, ხოლო თითოეული პუბლიცისტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფსევდონიმით გვაცნობს ფაქტებსა და მოვლენებს, გვევლინება მემატთანედაც, რომლებმაც დიდი საგანძური დაგვიტოვეს პუბლიცისტური წერილების სახით.

გაზეთი „დროება“ იყო ერთ-ერთი მოწინავე პერიოდული გამოცემა, რომელშიც განსაკუთრებული სიმძაფრით ქვეყნდებოდა სხვადასხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწის კორესპონდენცია აჭარიდან და საინგილოდან.

გაზეთი „ივერია“ კი გახლდათ გამოცემა, რომელიც ყოველთვის მზად იყო ქართველი თანამემამულეებისათვის, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გაელვივებინა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, კვლავ ჩაენერგა მათში ქართული მეზრძოლი სული და ეზრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის.

ორივე გამოცემის პუბლიცისტი ავტორები მოვლენებს ცხელ კვალზე მიჰყვებოდნენ და ცდილობდნენ მათი ხმა, სატკივარი მთლიანად საქართველოსთვის ეცნობებინათ.

სადისერტაციო ნაშრომზე „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“ მუშაობისას, დავრწმუნდით, რომ ამ პერიოდში ბევრი საყურადღებო მასალა ქვეყნდებოდა აჭარის წარსულიდან, განსაკუთრებულად ამხვილებდნენ ყურადღებას მუჰაჯირობის პროცესზე, ამხელდნენ მის გამომწვევ მიზეზებს და მთავრობას მოუწოდებდნენ მიეღოთ გადამჭრელი ზომები ამ პროცესების შესაჩერებლად. ამ რეგიონის მკვიდრთ უწევდათ, როგორც ოსმალოების მხრიდან ფსიქოლოგიური, მორალური, რელიგიური ღირებულებების იძულებით უგულებელყოფა, აგრეთვე რუსების მხრიდან ძალდატანებითი დამორჩილების ატანა. ქართველი ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შემცირდა მუჰაჯირთა რაოდენობა და გადასახლების წინააღმდეგ მიმართულმა აგიტაციამ შედეგიც გამოიღო.

კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი საინგილოს რეგიონზე გავაკეთეთ გავეცანით იქ არსებულ ვითარებას და დავრწმუნდით, რომ ქართველი ერი, რომელიც სიძლიერითა და დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდა ყოველთვის იმ პერიოდში არსებულმა გაუსაძლისმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა მოდრიკა და დაუკარგა ის ფასეულობები, რომლითაც თავის დროზე ეროვნულ და მორალურ-ეთიკურ ღირებულებებს ინარჩუნებდნენ.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ მიუხედავად რელიგიური ექსპანსიის განსაკუთრებულ დატვირთვას ინარჩუნებს ქალის კულტი, რომელიც მოყოლებული თამარის ეპოქიდან, მიუხედავად რთული ვითარებისა განსაკუთრებულად დაფასებული და ხელშეუხებელი გახლდათ. თითოეული მკვლევრის, პუბლიცისტის მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რეალობის ასახვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართველი ერი თანადგომით, ურთიერთპატივისცემით მაინც ინარჩუნებდა ქართულ სულს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევისას გამოვყავით მამულიშვილები, რომლებიც საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფით ცდილობდნენ რუს და ოსმალო დამპყრობლებს შეწინააღმდეგებოდნენ, რათა მათ არ დაეკნინებინათ ქართველი ერი, როგორც რელიგიური, ასევე მორალური თვალსაზრისით. მათ დიდი ზეწოლისა და დამცირების მიუხედავად შეინარჩუნეს სარწმუნოება, ღირსება და რაც მთავარია მშობლიური ენა.

ჩვენ შევეცადეთ ქრონოლოგიურად მივყოლოდით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს. შევეცადეთ შეგვესწავლა და გამოგვეკვლია მოვლენები, ფაქტები, რომლებიც აჭარასა და საინგილოს დღემდე დაღად ამჩნევია. საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესმა გვიჩვენა, რომ „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“ ფართოდ შესასწავლი და გასაანალიზებელი საკითხია. იკვეთება პრობლემები, რომლებიც ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ვფიქრობთ, სადისერტაციო ნაშრომის, „მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში“, ძირითადი მიზანი გაგვერკვია, თუ როგორ აისახებოდა საქართველოში, კერძოდ კი კონკრეტულ რეგიონებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი და კულტურული პროცესი როგორ აისახებოდა იმ პერიოდის ქართულ გამოცემებსა და პრესაში. ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი შეიძლება კიდევ არაერთი კვლევის საგანი გახდეს,

ხოლო ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულ პირებს შემდგომ კვლევაში.

**საკვლევი თემის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:**

1. „გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ და მისი როლი აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების პროცესში“, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბათუმი 2016.
2. „ მე-19 საუკუნის ქართველი პუბლიცისტების თვალით დანახული ქართველ მუჰაჯირთა ცხოვრება“ - “განათლება“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2014 N 1 (10), გვ.50-52.
3. „პოლიტიკური დისკურსი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში (მუჰაჯირობა) – „ჰუმანიტარული მეცნიერებები - ინფორმაციულ საზოგადოებაში - II“ , ნაწილი III, ჰუმანიტალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბათუმი 2014, გვ 174-176.
4. „საინტერესო ნაშრომობის დავით წერეთლის შესახებ“ - „ფილოლოგიური მაცნე II“, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, თბილისი 2015, გვ. 122-127.
5. „Reflection of the country’s problems in Georgian Press in the second half of the 19<sup>th</sup>“ - „ Людина віртуальна: нові горизонти“, київ 2014, 101-103.

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of Humanities  
Department of Georgian Philology

*With the Right of Manuscript*

Gvantsa Sabashvili

The XIX Century Muslim Georgia  
In Georgian Documentary-Artistic Prose and Publicism

Dissertation/Specialty-Philology/Literary Criticism

S Y N O P S I S

of the Thesis Submitted for Gaining the Academic Degree  
of Doctor of Philology

Scientific supervisors:

Associate Professor: Guram Bakhtadze

Associate Professor: Inga Shamilishvili

Batumi 2017

The Dissertation Paper has been performed at the Department of Georgian Philology, the Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University.

**Scientific supervisors:**

**Guram Bakhtadze** - Associate Professor; the Department of Georgian Philology, Batumi Shota Rustaveli State University

**Inga Shamilishvili** - Associate Professor; Batumi Shota Rustaveli State University, the Department of Georgian Philology

**Thesis Reviewers:** **Shorena Makhachadze** - Professor; Batumi Shota Rustaveli State University, the Department of Georgian Philology;

**Malkhaz Chokharadze** - Professor; Batumi Shota Rustaveli State University, the Department of Georgian Philology;

**Vakhtang Inauri** - Associate Professor; Samtskhe-Javakheti State University.

The defense of the Tesis will be held on July 12, 2017 at 15:00 o'clock at the Commission session of the Dissertation Board of the Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University.

Address: Batumi 6010, Ninoshvili Str. N 35, the first building of the university, Auditorium N ...

The Dissertation is available to the library of Shota Rustaveli State University.

The Synopsis was sent -----

Scientific Secretary of the Dissertation Board

Doctor of Philology,

